GEORGIA-UKRAINE TRADE RELATIONS AFTER THE BEGINNING OF THE UKRAINE-RUSSIA WAR

საქართველო-უკრაინის სავაჭრო ურთიერთობები უკრაინა-რუსეთის ომის დაწყების შემდეგ

Khatuna Tabagari
Doctor of Economic
Assistant professor of Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Tbilisi, Samghereti str.: 5591452443
tabagarikhatuna@gmail.com
khatuna.tabagari@gttu.edu.ge
ORCID: 0000-0003-0415-5205

Abstract. International political relations of the world's important countries affect the development of many states. On February 24, 2022, Russia attacked Ukraine, which caused significant loss and damage to both countries, and the world in general. Georgia has trade relations with Russia and Ukraine. But after the start of the war, of course, Georgia, like other countries, can no longer export and import goods with Ukraine in the same amount as in the previous year.

Various sources, and research methods such as quantitative and qualitative analysis, and comparative analysis are used in the work. The analysis of the export and import of goods by Georgia is studied in detail before and after the beginning of the war between Ukraine and Russia. According to certain calculations, the negative impact of the war on the trade results of Georgia and Ukraine is obvious.

The purpose of this paper is to present the history of trade relations between Georgia and Ukraine over the years, to explain what main goods Georgia traded with it, in what quantities and to what extent it is now possible to import or export these products from other countries. As an international economy, the positive side of a trade is that countries should trade with those goods, inputs or products in which they have a comparative advantage in production, and so should do Georgia.

In the course of the research, significant deficits in the import of raw materials and goods were identified, which were shown by statistical data after the start of the war. It is significant that Georgia can import them even to other countries, although this requires some time, analysis and market study on the part of the importers. The paper also reviews the impact of political decisions on the economic relations between Georgia and Ukraine. The conclusion is given at the end of the paper.

Keywords: Georgia, Ukraine-Russia war, foreign trade, export, import.

ხათუნა თაბაგარი
ეკონომიკის დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
საქართველო, ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. 5591452443
tabagarikhatuna@gmail.com
khatuna.tabagari@gttu.edu.ge
ORCID: 0000-0003-0415-5205

აბსტრაქტი. მსოფლიოს მნიშვნელოვანი ქვეყნების საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობა გავლენას ახდენს მრავალი სახელმწიფოს განვითარებაზე. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი თავს დაესხა უკრაინას, რამაც მნიშვნელოვანი დანაკარგი და ზარალი მიაყენა ორივე ქვეყანას, და, ზოგადად, მსოფლიოს. საქართველოს გააჩნია სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთანაც და უკრაინასთანაც. მაგრამ ომის დაწყების შემდეგ, რა თქმა უნდა, საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად, ვეღარ ახორციელებს უკრაინასთან საქონლის ექსპორტსა და იმპორტს იმ ოდენობით, რა რაოდენობითაც ხორციელდებოდა წინა წელს.

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა წყარო, კვლევის მეთოდი, როგორებიცაა რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი, შედარებითი ანალიზი. დეტალურადაა შესწავლილი იმ საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ანალიზი, რომელსაც საქართველო ახორციელებდა უკრაინისა და რუსეთის ომის დაწყებამდე და მის შემდეგ. გარკვეული გაანგარიშებებით თვალნათელია ომის უარყოფითი გავლენა საქართველოსა და უკრაინის სავაჭრო შედეგებზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს საქართველო-უკრაინის სავაჭრო ურთიერთობის ისტორია წლების მიხედვით, განმარტოს საქართველო რა ძირითადი საქონლით ვაჭრობდა მასთან, რა რაოდენობით და ახლა რამდენადაა შესაძლებელი აღნიშნული პროდუქციის სხვა ქვეყნიდან იმპორტის ან ექსპორტის განხორციელება. ვინაიდან საერთაშორის ეკონომიკა, ვაჭრობის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნებმა იმ საქონლით, ნელეულითა თუ პროდუქციით უნდა ივაჭრაონ, რომელთა წარმოებაშიც მათ გააჩნიათ შედარებითი უპირატესობა.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ნედლეული და საქონლის იმპორტის ის დანაკლისები, რაც ომის დაწყების შემდეგ სტატისტიკურმა მონაცემებმა გვიჩვენა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სხვა ქვეყნებიდათანაც კი შეუძლია მათი შემოტანა, თუმცა ეს გარკვეულ დროს, ანალიზს და ბაზრის შესწავლას საჭიროებს იმპორტიორების მხრიდან. ნაშრომში, ასევე, მიმოხილულია პოლიტიკური გადაწყვეტილებების გავლენა საქართველოსა და უკრაინის ეკონომიკურ ურთიერთობებზე. ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, უკრაინა-რუსეთის ომი, საგარეო ვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი.

შესავალი. ომი ნებისმიერ მხარეს აზარალებს ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და სხვა თვალსაზრისით. საქართველოს მრავალი ომი, ბრძოლა გადაუტანია, რასაც უარყოფითი გავლენა მოუხდენია ქვეყნის განვითარებაზე.

უკრაინისა და რუსეთის დაპირისპირებამ მნიშვნელოვანი დაბრკოლება შეუქმნა საქართველოს. ის არის იმპორტდამოკიდებული სახელმწიფო, უკრაინას საქართველოს საიმპორტო ქვეყნების ათეულში ხვდება ბოლო რამდენიმე ათეული წელია და წარმოადგენს საიმედო თანამშრომელ ქვეყანას საგარეო ეკონომიკური ვაჭრობის თვალსაზრისით და, არა მარტო.

კვლევის ჩატარების შესაბამის პერიოდში სტატისტიკურმა მონაცემებმა გვიჩვენა და რომ საქართველოსა და უკრაინას შროსი არსებული მჭიდრო სავაჭრო თანამშრომლობას საფრთხე შეექმნა, ამიტომ საქართველო იძულებული გახდა მოეძებნა სხვა პარტნიონი სახელმწიფოები შესაბამისი ნედლეულისა თუ საქონლის საიმპორტო ქვეყნები, რათა დაამყაროს ეკონომიკური თანამშრომლობა ან/და უკვე არსებული თანამშრომლობა გაღრმავდეს აღნიშნული პროდუქციის იმპორტის თვალსაზრისით.

ლიტერატურის მიმოხილვა. ქვეყნისთვის საგარეო ვაჭრობა არის სასიცოცხლო მნიშვნელობის ქვეყნის ეკონომიკის, სახელმწიფოს არსებობის და სხვა საკითხებისთვის; ეს განსაკუთრებით გამოიხატება შედარებითი უპირატესობის, დევიდ რიკარდოს მოდელის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, ქვეყნები ვაჭრობენ იმის მიხედვით, თუ რა საქონლის ან/და მისი წარმოების შედარებითი უპირატესობა გააჩნია მეორე ქვეყანასთან მიმართებაში (Krugma, P. R., Obstfeld, M. and Melitz, M. J., 2016).

საერთაშორისო ვაჭრობაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ის სინამდვილე, თუ რა შედარებითი უპირატესობა გააჩნია ქვეყანას, არამედ ეს გარკვეულწილად დამოკიდებულია ისეთ პირობებზე, როგორებიცაა უსაფრთხო გარემო (Milner, V. H., 1999). შესაბამისაც, ეს ვერ უზრუნველყოფს ვაჭრობის სტაბილურობის შენარჩუნებასა და გაფართოებას.

გამონაკლისს არც 2022 წლის თებერვლის მოვლენა წარმოადგენდა, როცა რუსეთი თავს დაესხა უკრაინას: რამაც განაპირობა გამოიწვია 12 მლნ ადამიანის მიგრირება საზღვარგარეთ; ომმა და ამ უკანასკნელმა შედეგმა უარყოფითი გავლენა მოახდინა არა მარტო უკრაინის, არამედ მსოფლიო ეკონომიკაზე; გეოპოლიტიკური დაძაბულობა გაიზარდა; უკრაინა მდიდარია მარცვლეულის მარაგებით, განსაკუთრებით ხორბლის, და ომმა მისი და ნავთობის ფასი გაიზარდა; ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ევროპის კავშირმა და სხვა სახელმწიფოებმა დააწესეს სავაჭრო სანქციები რუსეთის წინააღმდეგ (Guénette, J. D., Kenworthy, P. and Wheeler, C., 2022).

უკრაინა წარმოადგენს სხვადასხვა ნედლეული მნიშვნელოვანი ოდენობით ექსპორტიორი ქვეყანა; 2020 წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, მსოფლიო მოხმარების მზესუმზირის ზეთი და მარცვლეულის - 36%, სიმინდის მარცვლეულის - 13%, ქერის - 11%, კოლზას მარცვლეულის - 10% და ხორბლის - 9% (UNITED NATIONS - U. N., 2022).

2021 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, საქართველოს გააჩნდა საგარეო სავაჭრო ურთიერთობა ექსპორტის თვალსაზრისით დაახლოებით 190 ქვეყანასთან, ხოლო იმპორტის მხრივ - 130-მდე ქვეყანასთან (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

2021 წლის წინასწარი მონაცემებით, მისი ექსპორტის მოცულობა იყო 4,242.0 მლნ აშშ დოლარი, რომელიც წინა წელთან შედარებით გაიზარდა 27%-ით, ადგილობრივი, ადგილობრივი ექსპორტი - 3,127.0 მლნ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი - 10,104.0 მლნ აშშ

დოლარი, რომელიც წინა წელთან შედარებით გაიზარდა 25%-ით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოსა და უკრაინას შორის დაიდო შეთანხმება 1992 წლის 6 აგვისტოს სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ, 1995 წლის 9 იანვრიდან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ (უკრაინის საელჩო საქართველოში, 2020).

საქართველოსა და უკრაინას შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების საერთაშორისო ბრძანება გაფორმდა 1997 წელს და ძალაში შევიდა 1999 წლის 1 აპრილს (საქართველოს პარლამენტი, 1999).

საქართველოს გაფორმებული აქვს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შემდეგ ქვეყნებთან: უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი და თურქეთი. (ეკონომიკის სამინისტრო, 2022).

მეთოდოლოგია. წინამდებარე სტატიაში გამოყენებულია კვლევის რაოდენობრივი, ხარისხობრივი, შედარებითი მეთდოდები. შესწავლილია საგარეო ვაჭრობის შესახებ ლიტერატურა, ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია: როგორც ცალკე საქართველოს, ასევე საქართველო უკრაინის ექსპორტის, იმპორტის, ბრუნვისა და ბალანსის შესახებ ინფორმაცია 1995 წლიდან 2021 წლის ჩათვლით. მოცემული ინფორმაცია გაანალიზებულია რუსეთი-უკრაინის ომამდე და მისი დაწყების შემდეგ. გამოვლენილია ის ძირითადი საექსპორტო თუ საიმპორტო ნედლეული-მასალა, რომელთა ვაჭრობაც მიმდინარეობს ორივე ქვეყანას შორის.

შედეგები. საქართველოს საგარეო ვაჭრობა - ნახაზი 1-ის მიხედვით, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე მოყვანილია საქართველოს იმპორტის, ექსპორტის, ბრუნვისა და ბალანსის შესახე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).



ნახაზი 1. საქართველოს ექსპორტი, იმპორტი, ბრუნვა და ბალანსი 1995-2021* წლებში[1].

2021 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, საქართველოს ათი მთავარი საექსპორტო ქვეყანას წარმოადგენს

1. ჩინეთი - საქართველოს ექსპორტის 14.5%-ით,
2. რუსეთი - 14.8%-ით,
3. აზერბაიჯანი - 12.5%-ით,
4. თურქეთი - 7.6%-ით,
5. უკრაინა - 7,2%-ით,
6. სომხეთი - 6.1%-ით,
7. ბულგარეთი - 6%-ით,
8. აშშ - 4.6%-ით,
9. ყაზახეთი - 2.3%-ით და
10. ესპანეთი 2.1%-ით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

საქართველოს ათი მთავარი საექსპორტო საქონელია:

1. მადნები და კონცენტრატები სპილენძის - საქართველო ექსპროტის 19.2%-ით,
2. ფეროშენადნობები - 11.3%-ით,
3. მსუბუქი ავტომობილები - 10.8%-ით,
4. ყურძნის ნატურალური ღვინოები - 5.6%-ით,
5. ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები - 3.7%-ით,
6. მინერალური და მტკნარი წყლები - 3.3%-ით,
7. სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი - 2.8%-ით,
8. კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი - 2.8%-ით,
9. სამკურნალო საშუალებები დაფასოებული - 2.3%-ით და
10. ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით - 1.5%-ით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

2021 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, საქართველოს ათი მთავარი საიმპორტო ქვეყანას წარმოადგენს

თურქეთი საქართველოს იმპორტის 36.8%-ით,

1. რუსეთი - 36.3%-ით,
2. რუსეთი - 20.6%-ით,
3. ჩინეთი - 17.4%-ით,
4. აშშ - 13%-ით,
5. აზერბაიჯანი - 12%-ით,
6. გერმანია - 9.8%-ით,
7. უკრაინა - 9.1%-ით,
8. სომხეთი - 8.4%-ით,
9. იტალია - 5%-ით,
10. თურქმენეთი - 4.1%-ით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

საქართველოს ათი მთავარი საიმპორტო საქონელია:

[1] 2021 წლის მონაცემები წინასწარია.

1. მსუბუქი ავტომობილები - საქართველოს მთლიანი იმპორტის 9.3%-ით,
2. ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 8.1%-ით,
3. სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 7.3%-ით,
4. სამკურნალო საშუალებები დაფასოებული - 3.8%-ით,
5. ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა - 3.4%-ით,
6. სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების ჩათვლით - 2.2%-ით,
7. გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები - 1.5%-ით,
8. ვაქცინები, სისხლი და იმუნური პროდუქტები - 1.2%-ით,
9. სატვირთო ავტომობილები - 1%-ით და
10. სიგარები, სიგარილები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან - 1%-ით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

საქართველო-უკრაინის საგარეო სავაჭრო ურთიერთობა მოცემულია მე-2 ნახაზზე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).



ნახაზი 2. საქართველო-უკრაინის სავაჭრო ურთიერთობა 2021 წელს.

საქართველო-უკრაინის საგარეო ვაჭრობა რუსეთი-უკრაინის ომამდე და ომის შემდეგ პერიოდში საქართველო-უკრაინის საგარეო სავაჭრო ურთიერთობა თვეების მიხედვით მოცემულია 1-ელ ცხრილში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

ცხრილი 1. საქართველო-უკრაინის სავაჭრო ურთიერთობა 2022 წლის თითოეულ თვეში (იანვარი-აპრილი).

თვე	ექსპორტი	იმპორტი	სალდო	ბრუნვა
იანვარი	31,629.0	33,838.9	-2209.90	65,467.9
თებერვალი	15,952.7	35,223.7	-19271.00	51,176.4
მარტი	1,839.9	11,248.9	-9408.90	13,088.8
I კვ.	**49,421.6**	**80,311.5**	**-30889.90**	**129,733.1**
აპრილი	3,544.2	12,684.9	-9140.70	16,229.1

2021 წლისთვის საქართველოს უკრაინიდან იმპორტის რეჟიმით შემოჰქონდა (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2022) (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №275, 2020):

- სიგარები - 14 მლნ დოლარის ღირებულების,
- რკინა/ფოლადი (ნაკეთობები და სხვ.) – 2.6 მლნ დოლარი,
- კოპტონი (სახამებელი) – 2 მლნ დოლარი,
- სამკურნალო საშუალებები - 1.8 მლნ დოლარი,
- ძრავები (ტურბორეაქტორიული და სხვ) – 962 ათასი დოლარი,
- ბრტყელი ნაგლინი (ფოლადისგან) 10 მმ-ზე მეტი - 732 ათასი დოლარი,
- ძრავები 1100 კვტ-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 3730 კვტ-ისა - 640 ათასი დოლარი,
- წყლები, მინერალურისა და გაზიანის ჩათვლით - 514 ათასი დოლარი,
- ბრტყელი ნაგლინი (ფოლადისგან) 3 მმ-ზე ნაკლები - 511 ათასი დოლარი,
- მარგარინი, საკვებად გამოსაყენებელი ნარევები - 497 ათასი დოლარი,
- ხორცი და საკვები - 482 ათასი დოლარი,
- რძე და ნაღები, შესქელებული ან შაქრისა ან სხვა დამატკბობლებით - 412 ათასი დოლარი,
- მზესუმზირის თესლი - 394 ათასი დოლარი,
- ალაოს ექსტრაქტი (ფქვილი, ბურღულეული და სხვ) – 383 ათასი დოლარი,
- ნაჭუჭგაცლილი კაკალი - 351 ათასი დოლარი,
- ხორცი და საკვები (გაპუტული და გამოშიგნული და სხვ) – 284 ათასი დოლარი,
- ქაღალდი და მუყაო - 284 ათასი დოლარი,
- კასრები, დოლები, ქილები, ყუთები და ანალოგიური ტევადობები - 281 ათასი დოლარი,
- საცობები, ხუფები და სახურავები - 265 ათასი დოლარი,
- მარტო აირის ან აირისა და სხვა გამათბობ-სახარშავი და სხვ. – 263 ათასი დოლარი.

2021 წლისთვის საქართველოს ექსპორტის რეჟიმით გაჰქონდა უკრაინაში (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2022) (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №275, 2020):

- სასუქები - 11.7 მლნ დოლარი,
- ეთილის სპირტი არადენატურირებული სპირტის კონცენტრაციით (სხვა) - 1.9 მლნ დოლარი,
- სპილენძის ნარჩენები და ჯართი - 1.6 მლნ დოლარი,
- ეთილის სპირტი არადენატურირებული სპირტის კონცენტრაციით (სხვა (გრემის, ენისელის მაგვარი) – 1.5 მლნ დოლარი,
- ციტრუსები ახალი ან ხმელი - 1.1 მლნ დოლარი,
- ბრენდი (ალკოჰოლური სასმელი) – 692 ათასი დოლარი,
- ბორჯომი - 675 ათასი დოლარი,
- ღვინოები ყურძნის ნატურალური, შემაგრებული ღვინოების ჩათვლით - 606 ათასი დოლარი,
- ღვინოები ყურძნის ნატურალური, შემაგრებული ღვინოების ჩათვლით (თეთრი) – 364 ათასი დოლარი,
- ქინძმარაული - 255 ათასი დოლარი,
- ღვინო (დანარჩენი) – 248 ათასი დოლარი
- კაკალი ნაჭუჭგაცლილი - 163 ათასი დოლარი,
- ნაბეღლავი - 136 ათასი დოლარი,
- ღვინო (სხვა) – 129 ათასი დოლარი,

- წყლები, მინერალურისა და გაზიანის ჩათვლით - 113 ათასი დოლარი,
- სპირტიანი სასმელი (სხვა) – 92 ათასი დოლარი,
- ელექტრული წყალსათბობები არაინერციული ან მააკუმულირებელი, ჩასაძირი ელექტროსახურებლები - 85 ათასი დოლარი,
- კონიაკი - 78 ათასი დოლარი,
- ხურმა - 73 ათასი დოლარი,
- ხილი (დანარჩენი) – 72 ათასი დოლარი.

საქართველო-უკრაინის საგარეო სავაჭრო ურთიერთობა 2022 წლის აპრილში - 2021 წლის აპრილის თვის მონაცემების მიხედვით, იმპორტმა შეადგინა 40 მლნ დოლარზე მეტი, ხოლო 2022 წლის იმავე დროის მონაცემებთან შედარებით 10 მლნ დოლარი იყო, ესე იგი 4-ჯერ შემცირდა (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2022).

2021 წლის აპრილის თვის მდგომარეობით, ექსპორტმა შეადგინა 22 მლნ-ზე მეტი, ხოლო 2022 წლის იმავე დროსთან შედარებით ექსპორტი იყო 1.4 მლნ დოლარზე მეტი (ფაქტიურად დახმარების ღირებულება) (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2022).

საქართველოს მიერ 2022 წლის აპრილის თვეში კონკრეტული საქონლის - მლნ ლარის იმპორტს ახორციელებდა, სადაც უკრაინიდან შემოტანილი პროდუქციის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2022) (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №275, 2020):

- სიგარების შემთხვევაში - 43.4% (სულ იმპორტი - 4 644,239 დოლარი)
- ხორცი და საკვები - 17.5%(სულ იმპორტი - სულ 915,180 დოლარი)
- დოლაბები,სალესი ქვები (დაარმატურებული) – 88.5% (სულ იმპორტი - 143,061 დოლარი)
- ინსექტიციდები, როდენტიციდები, მადეზინფიცირებული - 8% (სულ იმპორტი - 1 474,908 დოლარი)
- ქაღალდი (დანარჩენი) – 17% (სულ იმპორტი - 609,569 დოლარი)
- ჩვილ ბავშვთა კვება (სხვა) – 19% (სულ იმპორტი - 361,096 დოლარი)
- ვაშლი (სხვა) – 3.4% (სულ იმპორტი - 2 992,135 დოლარი)
- შოკოლადი - 7% (სულ იმპორტი - (სულ იმპორტი - 1 366,705 დოლარი)
- პლასტმასის ნაწარმი - 22.6% (სულ იმპორტი - 414,809 დოლარი)
- სამკურნალო საშუალებები - 0.3% (სულ იმპორტი - 33 971,152 ლარი)

2022 წლის აპრილში შემცირდა შემდეგი საქონლის **იმპორტი** 2021 წლის იმავე თვესთან შედარებით (მონაცემები დალაგებულია უმაღლესი მაჩვენებლიდან უმდაბლესისკენ, რაც შემოვიდა საქართელოში უკრაინიდან):

- სიგარები - 41.5%-ით (2 მლნ დოლარი)
- ხორცი და საკვები - 4.1%-ით (160 ათასი დოლარი)
- დოლაბები,სალესი ქვები (დაარმატურებული) – 40.2%-ით (127 ათასი დოლარი)
- ინსექტიციდები, როდენტიციდები, მადეზინფიცირებული - 46%-ით (119 ათასი დოლარი)
- ქაღალდი (დანარჩენი) – 51.4%-ით (107 ათასი დოლარი)
- ჩვილ ბავშვთა კვება (სხვა) – 79.5%-ით (107 ათასი დოლარი)
- ვაშლი (სხვა) – 65.7%-ით (103 ათასი დოლარი)
- შოკოლადი - 9.5%-ით (98 ათასი დოლარი)
- პლასტმასის ნაწარმი - 10%-ით (94 ათასი დოლარი)
- სამკურნალო საშუალებები - 92.3%-ით (110 ათასი დოლარი)

საქართველოს მიერ 2022 წლის აპრილის თვეში კონკრეტული საქონლის - მლნ ლარის იმპორტს ახორციელებდა, სადაც უკრაინიდან შემოტანილი პროდუქციის პროცენტულმა

მაჩვენებელმა შეადგინა (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2022) (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №275, 2020):

- კაკალი ნაჭუჭგაცლილი - 1.3% (სულ ექსპორტი - 8 060,776 დოლარი)
- ბორჯომი - 1.6% (სულ ექსპორტი - 4 746,969 დოლარი)
- პროპილენი ან სხვ. – 29.3% (სულ ექსპორტი - 247,120 დოლარი)
- ეთილის სპირტი (დანარჩენი) – 3.8% (სულ ექსპორტი - 1 427,700 დოლარი)
- ცერეცო - 14.2% (სულ ექსპორტი - 442,626 დოლარი)
- წყლები მინერალური, გაზიანი და სხვ. – 0.5% (სულ ექსპორტი - 4 808,106 დოლარი)
- ღვინო (დანარჩენი) – 0.4% (სულ ექსპორტი - 3 584,186 დოლარი)
- დაფნის ფოთოლი - 0.8% (სულ ექსპორტი - 1 462,839 დოლარი)
- ღვინო (თეთრი) – 0.8% (სულ ექსპორტი - 1 427,984 დოლარი)
- წინანდალი (ღვინო) – 0.9% (სულ ექსპორტი - 487,852 დოლარი)

2022 წლის აპრილში შემცირდა შემდეგი საქონლის **ექსპორტი** 2021 წლის იმავე თვესთან შედარებით (მონაცემები დალაგებულია უმაღლესი მაჩვენებლიდან უმდაბლესისკენ, რაც გავიდა საქართელოში უკრაინიდან):

- კაკალი ნაჭუჭგაცლილი - 100%-ით (102 ათასი დოლარი)
- ბორჯომი - 70.9%-ით (77 ათასი დოლარი)
- პროპილენი ან სხვ. – 87.2%-ით (73 ათასი დოლარი)
- ეთილის სპირტი (დანარჩენი) – 93.8%-ით (54 ათასი დოლარი)
- ცერეცო - 36%-ით (64 ათასი დოლარი)
- წყლები მინერალური, გაზიანი და სხვ. – 90.2%-ით (36 ათასი დოლარი)
- ღვინო (დანარჩენი) – 97.5%-ით (18 ათასი დოლარი)
- დაფნის ფოთოლი - 89.5%-ით (12 ათასი დოლარი)
- ღვინო (თეთრი) – 96.3%-ით (7 ათასი დოლარი)
- წინანდალი (ღვინო) – 95.9%-ით (8 ათასი დოლარი).

განხილვა. ნახაზი 1-ის მიხედვით, საქართველოს საგარეო ვაჭრობა მეტ-ნაკლებად ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. თვალში საცემია როგორც ბრუნვის ზრდა, ასევე უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. 2021 წლის წინასწარი მონაცემებით, იმპორტი ექსპორტს აღემატებოდა 42%-ით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

საქართველო-უკრაინის საგარეო ვაჭრობა რუსეთი-უკრაინის ომამდე. უკრაინასა რუსეთს შორის 24 თებერვალს, 2022 წ. დაწყებული ომის შემდეგ, საქართველოსა და უკრაინას შორის სავაჭრო ურთიერთობა გაუარესდა (ამერიკის ხმა, 2022).

საქართველოს აქვს გაფორმებული საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები სხვადასხვა ქვეყანასთან, მათ შორის უკრაინასთან - ***ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ*** (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2022). 2021 წლის მონაცემებით, საქართველოს გააჩნდა 759 მლნ დოლარის სავაჭრო ბრუნვა უკრაინასთან: ექსპორტმა შეადგინა 307 მლნ დოლარი, იმპორტმა კი 452 მლნ დოლარი, რის გამოც სავაჭრო ბალანსი იყო 146 მლნ დოლარი (იხ. ნახ.: 2) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ამავე ოფიციალური მონაცემებით, საქართველო ექსპორტის და იმპორტის მოცულობა, თითოეულ თვეში გასხვავებული იყო, უმეტესად კლებადი ტენდენციით ხასიათდებოა 2022 წლის განმავლობაში (იხ. ცხრ.:1) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგად გამოვლინდა იმ პირველი ათეული საქონლის სია, რომელთა იმპორტიც და ექსპორტიც შემცირდა რუსეთ-

უკრაინის ომის დაწყების შემდეგ საქართველოსა და უკრაინას შორის. ამჟამად, აღნიშნული საქონლის იმპორტი და ექსპორტი შესაძლებელია შემდეგ ქვეყნებში, **იმპორტი:**

- სიგარები - სომხეთი, გერმანია, სერბეთი, თურქეთი და სხვ.
- ხორცი და საკვები - კანადა, ჩინეთი, დანია, საფრანგეთი, ლიეტუვა და სხვ.
- დოლაბები,სალესი ქვები (დაარმატურებული) - გერმანია, თურქეთი, პოლონეთი, შვედეთი და სხვ.
- ინსექტიციდები, როდენტიციდები, მადეზინფიცირებული - შვეიცარია, თურქეთი, ჩინეთი და სხვ.
- ქაღალდი (დანარჩენი) - აზერბაიჯანი, ისრაელი, თურქეთი და სხვ.
- ჩვილ ბავშვთა კვება (სხვა) - ავსტრია, ბულგარეთი, ჩინეთი, დანია და სხვ.
- ვაშლი (სხვა) - თურქეთი
- შოკოლადი - აზერბაიჯანი, ავსტრია, სომხეთი და სხვ.
- პლასტმასის ნაწარმი - აზერბაიჯანი, ბელგია, ჩინეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, გერმანია და სხვ.
- სამკურნალო საშუალებები - არგენტინა, ავსტრია, სომხეთი, ბელგია, ბულგარეთი და სხვ.

ხოლო რაც შეეხება **საექსპორტო** ქვეყნებს, შემდეგია:

- კაკალი ნაჭუჭგაცლილი - გერმანია, იტალია, კანადა და სხვ.
- ბორჯომი - აზერბაიჯანი, აშშ, სომხეთი, ბულგარეთი, კანადა და სხვ.
- პროპილენი ან სხვ. - სომხეთი და კანადა
- ეთილის სპირტი (დანარჩენი) - აზერბაიჯანი, ავსტრალია, ჩინეთი, ბელარუსი და სხვ.
- ცერეცო - ლატვია, მოლდოვა, პოლონეთი და სხვ.
- წყლები მინერალური, გაზიანი და სხვ. - აზერბაიჯანი, სომხეთი, ბულგარეთი, ბალერუსი, კანადა, ესტონეთი და სხვ.
- ღვინო (დანარჩენი) - აზერბაიჯანი, ავსტრალია, სომხეთი, კანადა, ჩინეთი და სხვ.
- დაფნის ფოთოლი - სომხეთი, ბულგარეთი, ჩიინეთი, ფილიპინები, უზბეკეთი და სხვ.
- ღვინო (თეთრი) - აზერბაიჯანი, ავსტრალია, სომხეთი, ჩინეთი, კვიპროსი, ჩეხეთი და სხვ.
- წინანდალი (ღვინო) - აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, ჩინეთი, ესტონეთი და სხვ.

დასკვნა. საქართველოს საგარეო ვაჭრობის თვალსაზრისით, რუსეთ-უკრაინის ომმა უარყოფითი გავლენა იმოქმედა უფრო მეტად საიმპორტო პროდუქციის ოდენობაზე, ვიდრე საექსპორტოზე. აღნიშნულ კვლევაში გამოკვეთილ იმ ათი სახეობის საქონელის იმპორტის თუ ექსპორტის შემცირების ფონზე, მათი უკრაინის მაგივრად, სხვა ქვეყნებით შენაცვლება შესაძლებელია, მანამ სანამ მშვიდობა და მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა აღდგება საქართველოსა და უკრაინას შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

Guénette, J. D., Kenworthy, P. and Wheeler, C. (2022). *Implications of the War in Ukraine for the Global Economy.* Wahington: World Bank Group, Equirable Growth, Finance & Institutions.

Krugma, P. R., Obstfeld, M. and Melitz, M. J. (2016). *International Economics, Theory & Policy.* Boston, Columbus, Indianapolis, New York, San Francisco, Upper Saddle River, Amsterdam, Cape Town, Dubai, London, Madrid, Milan, Paris, Montreal, Toronto, Dehli, Mexico City, Sao Paulo, Sydney, Hong Kong, Seoul, Singapore, Taipei, Tokyo: Pearson.

Milner, V. H. (1999). THE POLITICAL ECONOMY OF INTERNATIONAL TRADE. *Annual Reviews*, 91-114.

UNITED NATIONS - U. N. (2022, მარტი 16). *THE IMPACT ON TRADE AND DEVELOPMENT OF THE WAR IN UKRAINE.* Retrieved from UNITED NATIONS CONFERENCE ON TRADE AND DEVELOPMENT: https://unctad.org/system/files/official-document/osginf2022d1_en.pdf

ამერიკის ხმა. (2022). *Voiceof America.com*. Retrieved ივნისი 21, 2022, from https://www.amerikiskhma.com/a/latest-developments-in-ukraine-feb-24/6457176.html

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2022, ოქტომბბერი 7). *Economy.ge.* Retrieved from http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2022). *Economy.ge*. Retrieved ივნისი 21, 2022, from http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12

საქართველოს პარლამენტი. (1999, აპრილი 1). *Mof.ge.* Retrieved from https://www.mof.ge/images/File/dabegvra/DTA/ukraina_GEO.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). Retrieved ივნისი 21, 2022, from https://www.geostat.ge/ka

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №275. (2020). *Matsne.gov.ge*. Retrieved ივნისი 20, 2022, from https://matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=0

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2022). *https://www.mof.ge/*. Retrieved ივნისი 19, 2022, from https://www.mof.ge/

უკრაინის საელჩო საქართველოში. (2020, ნოემბერი 6). *https://georgia.mfa.gov.ua/.* Retrieved from https://georgia.mfa.gov.ua/ka/spivrobitnytstvo/trade_economic

References

Guénette, J. D., Kenworthy, P. and Wheeler, C. (2022). *Implications of the War in Ukraine for the Global Economy.* Wahington: World Bank Group, Equirable Growth, Finance & Institutions.

Krugma, P. R., Obstfeld, M. and Melitz, M. J. (2016). *International Economics, Theory & Policy.* Boston, Columbus, Indianapolis, New York, San Francisco, Upper Saddle River, Amsterdam, Cape Town, Dubai, London, Madrid, Milan, Paris, Montreal, Toronto, Dehli, Mexico City, Sao Paulo, Sydney, Hong Kong, Seoul, Singapore, Taipei, Tokyo: Pearson.

Milner, V. H. (1999). THE POLITICAL ECONOMY OF INTERNATIONAL TRADE. *Annual Reviews*, 91-114.

UNITED NATIONS - U. N. (2022, მარტი 16). *THE IMPACT ON TRADE AND DEVELOPMENT OF THE WAR IN UKRAINE.* Retrieved from UNITED NATIONS CONFERENCE ON TRADE AND DEVELOPMENT: https://unctad.org/system/files/official-document/osginf2022d1_en.pdf

Voice of America. (2022). *Voiceof America.com*. Retrieved ივნისი 21, 2022, from https://www.amerikiskhma.com/a/latest-developments-in-ukraine-feb-24/6457176.html

Ministry of Economy and Sustainable Development. (2022, ოქტომბერი 7). *Economy.ge.* Retrieved from http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12

Ministry of Economy and Sustainable Development. (2022). *Economy.ge*. Retrieved ივნისი 21, 2022, from http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12

Parliament of Georgia. (1999, აპრილი 1). *Mof.ge.* Retrieved from https://www.mof.ge/images/File/dabegvra/DTA/ukraina_GEO.pdf

National Statistics Office of Georgia. (2022). Retrieved ივნისი 21, 2022, from https://www.geostat.ge/ka

Order of the Minister of Finance of Georgia №275. (2020). *Matsne.gov.ge*. Retrieved ივნისი 20, 2022, from https://matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=0

Ministry of Finance of Georgia. (2022). *https://www.mof.ge/*. Retrieved ივნისი 19, 2022, from https://www.mof.ge/

Embassy of Ukraine in Georgia. (2020, ნოემბერი 6). *https://georgia.mfa.gov.ua/.* Retrieved from https://georgia.mfa.gov.ua/ka/spivrobitnytstvo/trade_economic